პიტერ სკენსვედის და ალექს დე ჟირარდიეს ლექცია: „ქუჩის ხელოვნება“

2019 წლის 30 აპრილს სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის 405 ც აუდიტორიაში 14 საათზე ჩატარდა ფრანგი არქიტექტორის და მხატვრის ალექს დე ჟირარდიეს და დანიელი მხატვრის პიტერ სკენსვედის ლექცია: „ქუჩის ხელოვნება“. ლექციის ორგანიზატორები არიან საქართველოს ქუჩის ხელოვნების ფედერაცია და სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტი.

ქუჩის ხელოვნება საკმაოდ პოპულარულია და დიდ ინტერესს იწვევს საზოგადოების მხრიდან.

მომხსენებლებმა ისაუბრეს ქუჩის ხელოვნებაზე და მის მნიშვნელობაზე ურბანულ სივრცეში. მათ წარმოადგინეს თავიანთი ნამუშევრები, რომელიც შესრულებული აქვთ მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქებში, მათ შორის თბილისში, მესტიაში და სიღნაღში.